ხელშეკრულება N26

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო

13 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მმართველის **თორნიკე ჯიქიას** სახით და მეორეს მხრივ,შპს „ა.ფ. აუდიტცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორის ფრიდონ ციბაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და "გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „ს!" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის დროებით სარგებლობაში მყოფ სპეც ტექნიკა გრეიდერზე (ფერი ყვითელი, გამოშვების წელი 2016, რეგისტრაციის ნომერი AA652D, რეგისტრაციის თარიღი 21/06/2016წ, ესპლუატაციაში მიღების თარიღი 03/08/2016წ) ქირავნობის თანხის განსაზღვრაზე აუდიტორული დასკვნის მომზადება.
2.2 აუდიტორული მომსახურეობა _ SPV 79212000

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიერად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების/მომზადებული აუდიტორული დასკვნის მიწოდება განხორციელდება: ქ. წყალტუბოს , რუსთაველის ქ. N27

6.2. მომსახურეობის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალედბულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლება მხარეს ძირითად ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 საქონლის მიწოდების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%_ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

ემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო სსაქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი" მის: წყალტუბოს რაიონი, სოფ. გვიშტიბი ს/კოდი: 421271670	შპს „ა.ფ. აუდიტცენტრი" ს/კ: 221275992 ს/ს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE05BG0000000179687400

მმართველი : _____ თ. ჯიქია

_____ ფ. ციბაძე